30/12/2020

დეკანოზმა თეოდორე გიგნაძემ შეჭირვებულ ათ მოსწავლეს კომპიუტერები გადასცა

Image not found or type unknown

თბილისის ჯვართამაღლების სახელობის ტაძრის წინამძღვარმა, ცნობილმა ქართველმა მქადაგებელმა, დეკანოზმა თეოდორე გიგნაძემ ხსენებული ტაძრის სამრევლოს სახელით პანდემიის მეორე ტალღასთან დაკავშირებით მიმართვა გაავრცელა.

მამა თეოდორეს ორგანიზებით ათ მოსწავლეს, რომლებიც კომპიუტერებისა და ინტერნეტის არქონის გამო დისტანციური სწავლის პროცესში ვერ ჩაერთნენ, კომპიუტერები გადაეცათ და სასწავლო წლის ბოლომდე უფასო ინტერნეტი ექნებათ.

“პანდემიის მეორე ტალღის დროს, ერთ-ერთი ყველაზე დიდი დარტყმა განიცადა საგანმანათლებლო სისტემამ, ჩვენმა, ჯვრისამაღლების ეკლესიის სამრევლომ ბოლო ორი კვირის განმავლობაში, ამჯერადაც, როცა უკვე პანდემიის მეორე ტალღაა, გავაკეთეთ ორგანიზება სახელმწიფოს და ჩვენი ხალხის თანადგომის ნაწილში და სხვადასხვა რეგიონში, ათი ოჯახისათვის, რომელთაც შვილებისათვის არა აქვთ დისტანციური სტავლებისათვის სრულფასოვანი წვდომა, შევიძინეთ ათი ახალი კომპიუტერი და აგრეთვე მათ დავუფინანსებთ სასწავლო წლის ივნისის ბოლომდე ინტერნეტის საფასურს”, – განაცხადა დეკანოზმა თეოდორე გიგნაძემ.

წყარო: პრაიმტაიმი

— wenews.ge